

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვასილ ჩიგოგიძის

ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

გამარჯობა, მოგესალმებით ბატონო თავმჯდომარე, კოლეგებო და მვირფასო ამომრჩევლებო... მივესალმები ოზურგეთს.

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექს ს 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. საკრებულოს წევრი გავხდი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით, პარტიული სიით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს 2 -რ მუდმივმოქმედ კომისიებში. 1. განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა. 2. სამანდატო საპროცედურო, იურდიულ საკითხთა და ეთიკის. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი.

სულ საანგარიშო პერიოდში მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგით ასევე რიგგარეშე სხდომებში 9-ჯერ, დავესწარი კომისიების სხდომებს 42-ჯერ და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ 10 სხდომას.

ვმონაწილეობდი საკრებულოში გერბისა და დროშის დროებით სამუშაო ჯგუფში- სულ 5 შეხვედრაში.

მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, სულ 3 შეხვედრაში.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი სულ : 55 - მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურას რაც ჩემს კომპეტენციას განეკუთვნებოდა და ისინი დაკმაყოფილდა.

აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივ აქტების განხილვა-დამტკიცებაში კერძოდ:

--- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების.

--- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა სამსახურის დებულების.

--- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემის და მიღების წესის დებულების.

--- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების.

--- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორების საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულების.

--- სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დებულების.

--- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და დაჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დებულების.

--- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019-2020 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

აგრეთვე აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა ჩატარებაში:

იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალში „ექვთიმეობა“ ყოველწლიურად ჩატარდება 17 ოქტომბერს, წმინდა ექვთიმეს წმინდანად შერაცხვის დღეს და იგი მიიღებს სამეცნიერო კონფერენციის მასშტაბურ სახეს -- საზეიმო ნაწილით და „ალეგრობა-ოზურგეთობის“ ჩატარების ტრადიცია აღდგება და დაუბრუნდება ნამდვილ ისტორიულ სახეს თავისი - „ჩოხა-ახალუხის“ პოდიუმითა და რაიონის ყველა სოფლის ტრადიციული მონაწილეობით. რაც შეეხება თეატრს... „დუმბადის ფესტივალი“... კინო ???

აქვე მინდა კრიტიკულად (პირველ რიგში - ჩემი თავის მიმართ) აღვნიშნო: 1. ოზურგეთი „ფოლკლორის ქალაქია“, ჯერ ჯერობით ვერ მოხერხდა პრიორიტეტების განსაზღვრა...

--- აკადემიური ფოლკლორული ანსამბლის შექმნის საკითხი, (სიმღერა და ცეკვა) როგორც უფროსების, ასევე ბავშვთა.

2. ვერ გადაწყდა მემორიალური დაფების (ფირნიშების) საკითხი - დამსახურებულ გარდაცვლილ პიროვნებებისა... მაგ. იური ჯიჯიეშვილი (საკითხი დავაყენეთ) ქალბატონი ზინა სალუქვაძე და სხვა.

3. თეატრის წინა (მიმდინარე) მოედნისათვის...

--- „თეატრალური მოედნის“ - სახელის მინიჭება, იმედს გამოვთქვამ თეატრის შენობის რეაბილიტაციის დასრულებისას

--- შენობის გახსნაზე მოხდება აღნიშნული სახელის მინიჭება...

მინდა მადლობა გადაუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და განსაკუთრებით საკრებულოს აპარატს.

მე როგორც საკრებულოს წევრი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას როგორც საკრებულოში ასევე ამომრჩევლებთან.

საკრებულოს წევრი ვასილ ჩიგოგიძე
28.01.2019 წ.